საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

სახაზინო სამსახურის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში

2017 წელი

- ✓ საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურთან ერთად განხორციელდა პირველადი დოკუმენტების საფუძველზე გადასახდელების მართვის მოდულის და ხაზინის მთავარ წიგნში დარიცხვის მეთოდის შესაბამისად ბუღალტრული გატარებების ინტეგრაციისათვის შესაბამისი ბიზნეს პროცესების ანალიტიკა. მომზადდა შესაბამისი ანალიტიკური დოკუმენტი. ანალიტიკური დოკუმენტის საფუძველზე, შემუშავდა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, რომლითაც გადასახდელების მართვა, აღრიცხვა და ანგარიშგება ხორციელდება სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაში. აღნიშნული ფუნქციონალი ამოქმედდა 2018 წლის წლის 1 იანვრიდან. ამასთან, ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით, განხორციელდა ხაზინის ელექტრონულ სისტემაში ჩართული ორგანიზაციების წარმომადგენლების გადამზადება ხაზინის ელექტრონულ სისტემაში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით.
- ✓ IPSAS სტანდარტების სამოქმედო გეგმით ((2017-2020) გათვალისწინებული სტანდარტების დანერგვის ხელშესაწყობად, ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები. ამასთან, აღნიშნული ტექნიკური დახმარების ფარგლებში, უცხოელი ექსპერტის მიერ მომზადდა IPSAS სტანდარტების შესაბამისობის ანალიზი არსებულ სააღრიცხვო სისტემასთან მიმართებით. სახაზინო სამსახურის მიერ მომზადდა ტრენინგ-პროგრამა 2017 წლიდან დანერგილ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში. აღნიშნულ სტანდარტებში სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენელთა გადამზადება განსაზღვრულია 2018 წელს. თვითმმართველ ერთეულებში IPSAS სტანდარტების დანერგვის სტრატეგიის განსაზღვრის მიზნით, „საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 3 ნოემბრის №701 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლითაც განისაზღვრა ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში რეფორმის განხორციელების პერიოდულობა და ძირითადი მიმართულებები.

- ✓ საჯარო ფინანსების წარმატებული რეფორმის ფარგლებში დღის წესრიგში დადგა რეფორმის მნიშვნელოვანი მიმართულება, რაც გულისხმობს სახელმწიფო ხაზინის ფულადი სახსრების მართვის ეფექტიანობის ზრდას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ხაზინამ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოს ეროვნულ ბანთან და კომერციულ ბანკებთან თანამშრომლობის შედეგად შეიმუშავა „სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების განთავსების წესი“. წესი დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის №301 დადგენილებით. ამასთან ერთად, 2017 წლის განმავლობაში ხაზინის ელექტრონულ სისტემაში შეიქმნა ფულადი სახსრების განთავსებისათვის საჭირო მოდული, რომელიც ლიკვიდობის მართვის პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს და ასევე, განხორციელდა სახაზინო სამსახურის თანამშრომლების გადამზადება ფინანსური ბაზრების საკითხებთან დაკავშირებით.
- ✓ 2017 წლის განმავლობაში მუდმივად ხორციელდებოდა ბიუჯეტების აღრიცხვა-ანგარიშგებების წარმოების დახვეწა და სრულყოფა. დღეისათვის სახელმწიფო ხაზინა აწარმოებს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვას, ანგარიშგებას და ანგარიშსწორებას, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის და სახელმწიფო ხაზინის სხვა სალარე და სავალუტო ანგარიშების მართვას, ოპერირებას და აღრიცხვას, ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხების დაბრუნებას, აღრიცხვას და ანგარიშგებას, სახელმწიფო ხაზინის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული თანხების აღრიცხვას, მართვას და ანგარიშგებას და სხვა. ყოველდღიურ საქმიანობასთან ერთად მუდმივად ხდება აღრიცხვისა და ანგარიშსწორების პროცესის საოპერაციო ციკლის სრულყოფა და ოპერატიულობის გაუმჯობესება, ანგარიშგებების ფორმების დახვეწა და ახალი, უფრო ინფორმატიული ანალიტიკური ფორმების შემუშავება.